ხელშეკრულება

აუდიტორული მომსახურების შესახებ

79200000 - საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 16 მარტს

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთის მხრივ

შპს **,,ბი ეს კონსალტინგი"**, რომლის მისამართია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ N41ა ბN15 საიდენტიფიკაციო კოდი 405145221. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ გაცემული სერტიფიკატი №0058 (შემდგომში წოდებული ,,შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერიან ხვიჩიას სახით.

და მეორეს მხრივ

შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი" (შემდგომში – ,,დამკვეთი") რომლის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას #68 (ს/ნ 205267085), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბ-ნი ნოდარ რაფავას (პ/ნ 01008013849) სახით.

1. ხელშეკრულების საგანი და მომსახურების ამოცანა

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსრულებელი დამკვეთს გაუწევს აუდიტორულ მომსახურებას, რაც მოიცავს შემდეგს:

1.1.1 2016 01 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისა და ბალანსის აუდიტი;

1.1.2 კონსულტაციების გაწევა დამკვეთის ზეპირად ან ოფიციალური დოკუმენტების გაფორმებით;

2. სამუშაო გრაფიკი

2.1 აუდიტორული მომსახურება გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების პარაგრაფი 1.1.1 განხორციელდება დადების დღიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

3. მომსახურების ღირებულება და კომპენსაციის ვადები

3.1 ხელშეკრულებით, გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

2.2 დამკვეთის მიერ ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. შემსრულებლის ვალდებულებები

4.1 აუდიტორული მომსახურების გაწევისას შემსრულებელი იხელმძღვანელებს შესაბამისი ნორმატიული აქტების, და პროფესიონალური ეთიკის სტანდარტების შესაბამისად და ისარგებლებს სერთიფიცირებული აუდიტორებისთვის დადგენილი უფლებებით და მოთხოვნებით.

4.2 შემსრულებელი ვალდებულია:

4.2.1 აწარმოოს აუდიტორული მომსახურება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი მეთოდოლოგიის პრინციპების დაცვით;

4.3 შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.3.1 მოითხოვოს პირველადი დოკუმენტები, დეკლარაციები და სხვა ბუღალტრული დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტებში მითითებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, დამკვეთი უფლებამოსილია წარმოუდგინოს შემსრულებელს ამონაწერი აღნიშნული ინფორმაციიდან, რომელიც შემსრულებლის მიერ განიხილება როგორც პირველადი დოკუმენტი. ამონაწერში მითითებული ინფორმაციის სარწმუნოებაზე შემსრულებელი პასუხს არ აგებს. ამონაწერი დადასტურებული უნდა იქნას დამკვეთის ხელმოწერით და ბეჭდით.

5. დამკვეთის უფლებები. ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 დამკვეთი ვალდებულია:

5.1.1 დროულად უზრუნველყოს შემსრულებელი სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტებით და სხვა ინფორმაციით.

5.2 დამკვეთი უფლებამოსილია

5.2.1 მოითხოვოს ანგარიშები თანახმად კანონისა;

5.2.2 მოითხოვოს შემსრულებლის პასუხისმგებელი პირისგან წერილობითი ან სიტყვიერი განმარტება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შედის შემსრულებლის კომპეტენციაში.

6. კონფიდენციალურობა

5.1 შემსრულებელი თანახმად შესაბამისი კანონმდებლობისა დაიცავს დამკვეთთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

6.2 ყველა პირველადი დოკუმენტები და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შესრულდა პირველად დოკუმენტებზე დაფუძნებით, ეკუთვნის დამკვეთს და ინახება დამკვეთთან კანონით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.

6.3 კონფიდენციალური ინფორმაციის სათანადო ორგანოებისათვის მიწოდების პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

6.4 კონფიდენციალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება:

6.4.1 თუ აღნიშნული ნებადართულია დამკვეთის მიერ;

6.4.2 თუ აღნიშნული განსაზღვრულია კანონით;

6.4.3 თუ განპირობებულია პროფესიონალური ვალდებულებებით ან უფლებებით.

7. დავა

7.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, შპს ,,თბილისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟ"–ს მიერ, ს/ნ 200273373 რომლის მისამართია: თბილისი, გურამიშვილის 84ა.

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

8.1 ყოველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე მეორე მხარის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე მხარე:

8.1.1 აღმოჩნდება გადახდისუუნარო;

8.1.2 წყვეტს თავის საქმიანობას;

8.1.3 არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და პირობებს.

9. ფორს მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, სამოქალაქო ომი, მიწისძვრა, არალოკალური ხანძარი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული გვერდი და დანართი დამოწმდება ორივე მხარის ხელმოწერით.

11. ხელშეკრულების ვადები და პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

11.2 ხელშეკრულება ძალაშია სანამ ერთ–ერთი მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ.

12. მხარეები

ვალერიან ხვიჩია

შპს ბი ეს კონსალტინგი
დირექტორი

მისამართი: ქ. თბილისი,
ჭავჭავაძის გამზ N41ა ბ N15
საიდენტიფიკაციო კოდი: 405145221
მომსახურე ბანკი: სს ბაზისბანკი
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ნ: GE13BS0000000083836156

ნოდარ რაფავა

შპს ,წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი
დირექტორი

მის: თბილისი, კოსტავას #68
საიდენტიფიკაციო კოდი:205267085